სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

25570286794215

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150805896

რეგისტრაციის თარიღი

28.07.2015 წ

ნოტარიუსი: თინათინ დევდარიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქუჩა N39
ტელეფონი: 229-35-11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

-1-

სანოტარო აქტი

საქართველო ქ. თბილისი

ორიათასთხუთმეტი წლის ოცდარვა იანვრის მე, ნოტარიუს ემილია დვალიშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი ი. აბაშიძის №39, ბინა №23-ში ცნობილია ქალ ანა ნოზაძეს (დაბადებული 21.01.1971წელს თბილისში, მ/ხ. თბილისი იჩქვიჩაძის ქუჩა N 80 ბლოკი I ბ. II. პირადი №12003000437). მან განაცხადა, რომ არის მ.პ.ა. „პარკ გეითი"-ს თავმჯდომარე და სურს შეადგინოს რწმუნებულება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს შპს „პიმპოროშვილი, მიმანაძე, პაპუაშვილი-ჯიჯნეს ეთიკური კონსულტაცია" (საიდ. კოდი №204559012) დირექტორს კრძა ბუმპოროშვილს (დაბადებული 20.11.1979წელს ტყიბულში, მ/ხ. ტყიბული, ქ. თაყაიშვილის ქ. №8, ბინა№9, პირადი №41001002533). ქალ ანა ნოზაძეს პირადობა დადგინდა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ დავადგინე მისი უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს მ.პ.ა. „პარკ გეითი"-ს თავმჯდომარე (თანახმად ბა საერთო კრების ოქმისა, დამოწმებული ნოტარიუს მაია ბერეგოვის მიერ 24.07.2015წ. რეესტრის №150797587). მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, და შემდეგ შევადგინე რწმუნებულების პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მან წაიკითხა რწმუნებულება და გაეცნობა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ქალ ანა ნოზაძეს ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ რწმუნებულებას რასაც ვამოწმებ:

რწმუნებულება

ორიათასთხუთმეტი წლის ოცდარვა იანვრის ქალ ანა ნოზაძის, რომელიც შპს "პაპუაშვილი ჯ"-ის დირექტორის შემდგომში მოხსენიებული, როგორც "მარწმუნებელი", შპს „პიმპოროშვილი, მიმანაძე, პაპუაშვილი-ჯიჯნეს ეთიკური კონსულტაცია" (საიდ. კოდი №204559012) დირექტორს კრძა ბუმპოროშვილს (პირადობის ბ00010 №0054) შემდეგში მოხსენიებული, როგორც "რწმუნებული,", ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, კერძო და/ან სახელმწიფო ორგანოებში, ასევე კერძო და სახელმწიფო სააღსრულებლო ბიუროში, სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობებში და აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს.

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეტანოს განცხადება და/ან სარჩელი, გაასაჩივროს სახელმწიფო დაწესებულებათა და სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, შეიტანოს საპელაციო და საკასაციო საჩივარი, ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მაგივრად ყველა დოკუმენტს, შეცვალოს სარჩელის საგანი მთლიანად ან ნაწილობრივ, ცნოს და უარყოს სარჩელი, გამოიძახოს სარჩელი, აწარმოთოს საარბიტრაჟო საქმე, აღიძრას და წარადგინოს საარბიტრაჟო ფურცელი, მიიღოს მონაწილეობა საარბიტრაჟო მოქმედებებში, მიიღოს მიკუთვნებული ქონება ან ფული ფიზიკური და/ან იურიდიული პირებისაგან, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ თქვას უარი, დაამთავროს საქმე მორიგებით, შეიტანოს კანონმდებლობით დადგენილი ბაჟი და აღიძრას იგი.

4.რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

5.მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.

6.რწმუნებულება შეიძლება გაუქმდეს შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარ შეტყობინებით. თუ რწმუნებულმა ხელშეკრულება მაშინ შეწყვიტა, როცა მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად დაეცვა მისი ინტერესები, რწმუნებულნი ვალდებულნი არიან მარწმუნებელს აუნაზღაურონ ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა როცა რწმუნებულებს ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდათ.

7.რწმუნებულებით მინიჭებული უფლებები „რწმუნებულს" არ შეუძლია გადასცეს მესამე პირებს.

8.რწმუნებულება გაცემულია ხუთი წლის ვადით.

წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ემილია დვალიშვილის, სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს. მარწმუნებელმა მოიწონა რწმუნებულება და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.

დანართი: კრების ოქმის ასლი (თანახმად ბა საერთო კრების ოქმისა, დამოწმებული ნოტარიუს მაია ბერეგოვის მიერ 24.07.2015წ. რეესტრის №150797587).

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი (ერთი ათასი) 2015წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების, **სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის აღებული ბაჟის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი სამსახურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოქმედების უქონლობის მოწმობის" 31-ე მუხლის და ამავე დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად** 2(ორი) ლარი და საქართველოს [illegible] მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად 1.80 ლარი დღგ, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ემილია დვალიშვილი